პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ხუთშაბათი, 10 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 544

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

დეზერტირობა.

როგორც სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის და აგრეთვე ნაწილებიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს ჩვენს ჯარში ადგილი აქვს დეზერტირობას.

დეზერტირობა—ეს ერთი მთავარ მიზეზთაგანია ჯარის, როგორც სამხედრო პოლიტიკურ დარგში ჩამორჩენილობის.

დეზერტირობა—რყვნის ჯარს.

მაგრამ, როგორიც კი არ უნდა იყოს ეს მოვლენა, ჩვენ მაინც ფაქტის წინაშე ვდგევართ: წითელი არმიელი ნებადაურთველად მიდის თავის ნაწილიდან. არის შემთხვევები, როდესაც იგი თვითონვე ბრუნდება უკან. ზოგ შემთხვევებში კი ატუსაღებენ და ისე მოყავთ.

ასე თუ ისე ზომების მიღება საჭიროა, მით უფრო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წითელ არმიელი გულუბრყვილო პასუხს იძლევა: ,,წაველ იმიტომ, რომ მამა ავადა მყავს, ოჯახს მოვლა უნდა".

ასეთი პასუხი არ არის პასუხი. იგი განგებ შეთხზულია, ანდა მართლა გულუბრყვილოა.

პირველ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენ სასტიკნი უნდა ვიყვეთ. ეს რევტრიბუნალის საქმეა; საქმეა ამხ. ლომიძის და სხვების.

მაგრამ მეორე შემთხვევაში, ე. ი. ისეთ შემთხვევაში, სადაც წითელ არმიელი მიდის თავის ნებით სოფლად და შემდეგ თავის ნებითვე უკან ბრუნდება, ცოტა დაკვირვება და მოფიქრება გვჭირდება.

რა არის მიზეზი ასეთი მოქცევისა? აი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გადავსჭრათ.

თავისთავად ცხადია, მიზეზი აქ არ ცოდნა არის; არ ცოდნა იმისა, რომ წითელი ყაზარმა დეიდისა და მამიდის სახლი როდია, მოგენებება წახვალ, მოგენებება მოხვალ.

წითელ ყაზარმაში მოსვლის შემდეგ კაცი სულ სხვანაირად უნდა მოინათლოს. მან უნდა აასრულოს ის წესრიგი, რომელსაც ჩვენ დისციპლინას უწოდებთ.

სოფლიდან ჩამოსულ გლეხს, რასაკვირველია, ეს არ მოეთხოვება. მაგრამ, მის შემდეგ, რაც ის ჩვენს ნაწილებში სამწყობრო და პოლიტიკურ საათებს გაივლის, მან ნათლად უნდა იცოდეს, რომ ნაწილიდან წასვლა მხოლოდ უფროსის ნებართვით შეიძლება.

ასეთი გულუბრყვილო პასუხი კი ეჭვს გვიბადებს ჩვენ, რომ უფშემადგენლობის მიერ ვერ არის სათანადო ყურადღება მიქცეული ამ საკითხზე.

მართალია ჩვენს უფშემადგენლობას ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ისინი უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მეტი ბაასი, მეტი ახსნა-განმარტება აწარმოონ წითელ არმიელებში, რათა ისინი შეიქნან ღირსეული წევრნი წითელი ჯარისა.

ამას მოითხოვს მათგან მშრომელი ხალხის ხელისუფლება, ამას მოითხოვს საქმის უფრო კეთილად მოგვარება.

მხოლოდ სასჯელნი ჩვენ ვერ გვიხსნის დეზერტირობიდან, ჯარის ამ გამყვრნელ და გამათახსირებელ მოვლენიდან.

წითელ ჯარში დეზერტირი არ უნდა იყოს.

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკებ[ის] გარშემო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო კამათის დროს, კონსერვატორ დეპუტატმა მეიტლენდმა მოითხოვა ცნობები ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შესახებ.

მეიტლენდი სცდილობდა დაუმტკიცებია, რომ ის არის მტრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ მისი აზრით ინგლისის ვაჭრობა სსრკ-სთან ვერ მოახდენს გავლენას უმუშევრობაზე ინგლისში.

მეიტლენდმა მოიგონა მაკდონალდის დაპირება, რომ ის მოაგვარებდა ყველა საკითხებს ცნობის შემდეგ და აღნიშნა, რომ ხუთი თვის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა ინგლის—რუსეთის ურთიერთობაში.

მეიტლენდის განცხადებამ, რომ ფასიანი ქაღალდის მსხვილ მეპატრონეებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც თავის დროს იბრძოდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—დიდი აღშფოთება გამოიწვია კონსერვატორებში, ხოლო თანხმობის გამოძახილი მუშათა პარტიაში.

მაიტლენდის სიტყვით, ჩამორთმეულ ქონების—180 მილიონ მანეთის გადახდის წინადადებაზე, საბჭოთა დელეგაციამ შეაძლია 10 მილიონი.

დამოუკიდებელ ლიბერალურ პარტიის დეპუტატმა კენვორტიმ პროტესტი განაცხადა ამ გადაუსინჯავ ციფრების გამოცხადების წინააღმდეგ.

დეპუტატ ნეილმა მაიტლენდის საპასუხოდ განაცხადა, რომ ინგლისის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა პრეტენზიები, უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში, შეიძლებოდა დაკმაყოფილებული ყოფილიყო მისი ნამდვილი ღირებულების 5—6 პროცენტით.

დეპუტატ მორელმა აღნიშნა, რომ კერზონი აწარმოებდა ლოზანაში მოლაპარაკების 12 თვისგანმავლობაში, მაგრამ კონსერვატორები არ ღელავდენ, ხოლო დღეს ისინი სცდილობენ კონფერენციის ჩაშლას

კონსერვატორებმა, დეპუტატ რიჩარდსონმა პროტესტი განაცხადა მორელის ამ განცხადებაზე.

დეპუტატ მილომ მოითხოვა გადასდონ ვალების საკითხი და მოაგვარონ სხვა საკითხები სსრკ-სთან.

კენვორტიმ უწოდა ბანკირთა მეომარდუმს უსირცხვილო ნაწარმოები და მოიყვანა ვაჭრობის ციფრები 1923—24 წლებში და გააყალბა ის აზრი, რომ არ შეიძლება ვაჭრობის წარმოება საბჭოთა კავშირთანო. მან აღნიშნა, რომ მშვიდობიან განწყობილებას საბჭოთა კავშირთან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ვაჭრობის განვითარებაში და ვალის გადახდის საქმეში, არამედ მთელი ქვეყნის მშვიდობიანობისათვის.

მუშათა პარტიის წევრები არა ნაკლებ უცქერიან სსრკ-ს.

რეიტერის სააგენტო დამატებით ცნობებს იძლევა ინგლის—საბჭოთა კონფერენციის გარშემო მომხდარ კამათის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პანსონბიმ განაცხადა: „მას იმედი აქვს, რომ ის აცნობებს პალატას ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შედეგებს პარლამენტის გაშვებამდი".

უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება. პანსონბიმ აღნიშნა, რომ არა სასურველი იქნებოდა მოლაპარაკების შეწყვეტა, სანამ არ მოხდებოდა შეთანხმება ფასიან ქაღალდების მეპატრონეებთან.

ექსპერტთა პროექტის წინასწარი პირობები

გერმანიის მთავრობამ, როგორც სჩანს გადასწყვიტა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება ექსპერტთა პროექტისადმი.

ნაციონალისტების და სახალხო პარტიის ძალდატანებით, გერმანიის მთავრობა ფიქრობს წამოაყენოს წინასწარი პირობები პროექტის მისაღებად.

დამახასიათებელია რეზოლიუცია სახალხო პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმისა შტრეზემანის მოხსენების შესახებ.

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ექსპერტთა პროექტი შეიძლება მიღებულ იქნას იმ პირობებში თუ აღდგენილ იქნა გერმანიის ეკონომიური მთლიანობა და უზრუნველყოფილ იქნება მისი სუვერენული უფლებები საოკუპაციო ოლქებში.

რეზოლიუცია მოითხოვს რურის და რეინის მხარეების ეკონომიურ და სამხედრო ოკუპაციის გაუქმებას, ფრანკო-ბელგიის რკინის გზის ადმინისტრაციის სრულ ლიკვიდაციას, საბაჟოს საზღვრის შეცვლას, საოკუპაციო ოლქებიდან გადასახლებულ გერმასიის მოქალაქეთა უკან დაბრუნებას.

ამას გარდა წინასწარი პირობა პროექტის მიღებისთვის არის გარანტია იმისა, რომ გერმანიის ხალხის ცხოვრების დონე არ იქნება სხვა ხალხისაზე უფრო დაბლა.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი

7 ივლისის საღამოს სხდომა.

პროფკავშირთა შესახებ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. შულცე, რომელიც იცავს იმ თვალსაზრისს, რომ პროფკავშირებიდან გამორიცხული მუშები უნდა შეკავშირდენ საწარმოო კავშირებში.

ამხ. შულცე ლოზოვსკის წინადადებაში—ამსტერდამთან მოლაპარაკების შესახებ ორივე ინტერნაციონალების შეერთების მიზნით—ჰხედავს ლიკვიდატორულ ნაბიჯს.

გერცოგის აზრით, შულცეს პოზიცია პოულობს გამოძახილს მხოლოდ ბერლინში.

გერმანიის კომპარტია წინააღმდეგია ამ პოზიციის და იბრძოლებს მის წინააღმდეგ.

ლოზოვსკი აღნიშნავს, რომ კაპიტალის შემოტევა მსოფლიო მასშტაბით უკვე დასრულებულია. მუშათა კლასის პასიურობა თანდათან ნელდება. ზოგიერთ ადგილებში პროლეტარიატი შეტევაზეც გადადის.

შულცეს შეხედულება პროფკავშირებიდან გამოსვლის შესახებ დიდ საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის კომპარტიისათვის, ვინაიდან უკანასკნელს მოუხდება იბრძოლოს პროფკავშირში განხეთქილების წინააღმდეგ.

„კარგი კომუნისტები არ გამოდიან პროფკავშირებიდან" განაცხადა ამხ. ლოზოვსკიმ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის შესახებ ლოზოვსკიმ აღნიშნა, რომ სიტყვა მიდის არა პროფ-ინტერნზე, არამედ საერთაშორისო გამაერთიანებელ კონგრესის მოწვევაზე, სადაც პროფინტერნი და აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალი ისარგებლებენ ერთნაირი უფლებებით.

პროფესიონალური გაერთიანება ნიშნავს კომუნისტური იდეების სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას.

ინტელგენციის როლის შესახებ მოხსენებაში ამხ. კლარა ცეტკინა აღნიშნავს, რომ ინტელიგენციის კრიზისი ეს მთელი ბურჟუაზიული კულტურის კრიზისია. ბურჟუაზიული საზოგადოება დღეს უკვე აღარ არის კულტურის მატარებელი და ინტელიგენციის პრობლემა დღეს უკვე პროლეტარიატის საკითხად იქცევა. პროლეტარიატმა უნდა გაიხადოს ინტელიგენცია მოკავშირედ.

საწარმოო დაწესებულებებში კომუჯრედების მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პიატნიცკი, რის შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისია.

გერმანიის დამონების გეგმა.

ლონდონის კონფერენციის პროგრამაში, რომელმაც კინაღამ გამოიწვია დიპლომატიური კონფლიქტი საფრანგეთსა და ინგლისს შორის შედის შემდეგი მუხლები: 1. გერმანიის მიწვევა კონფერენციის დასასრულს, 2. გერმანიამ ხელი უნდა მოაწეროს ოქმს, რომ ის ღებულობს სრულიად ექსპერტთა გეგმას; 3. მოკავშირეებმა ხელი უნდა მიიღონ სამხედრო რეპრესიულ ზომებზე გერმანიის წინააღმდეგ, თუ არ იქნება დარღვეული უკანასკნელის მიერ ვალდებულება; 4. ყოველგვარი სადაო კითხვა, რომელიც კი წამოიჭრება ამ დადგენილებათა გარშემო გადაეცემა გასარჩევად საერთაშორისო სასამართლოს ჰააგაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფინტერნის მე-3-ე კონგრესი.

კონგრესის გახსნა.

8 ივლისს, საღამოს კავშირთა სახლში დიდის ზეიმით გაიხსნა პროფინტერნის მე-3-ე კონგრესი.

კონგრესს ხსნის ამხ. ლოზოვსკი, რომელიც აღნიშნავს პროფინტერნის დიდ მიღწევებს და ამსტერდამის ინტერნაციონალის გაყოფას.

ამხ. ლოზოვსკი მწუხარებით აღნიშნავს იმ დიდ დანაკლისს, რომელიც შეემთხვა მუშათა კლასს ლენინის დაკარგვით.

კომინტერნაციონალიდან გამოვიდა ამხანაგ ბუხარინი, რომელმაც აღნიშნა, რომ კომინტერნის კონგრესი ჩატარდა ლოზუნგით—ახლოს მასებთან, რაიც შესაძლებელი იქნება აქტიური ბრძოლის გზით რეფორმისტულ კავშირების შიგნით.

კონგრესმა მიიღო პროლეტარიატისადმი მოწოდების პროექტები—თეთრი ტერორისა და ომის 10 წლის თავის შესახებ.

პროფინტერნის სახელობის საფეიქრო ქარხნის 5.000 მუშის სახელით, ამხ. ჩულკანოვი გადასცემს ამხ. ლოზოვსკის მუშების მიერ მოქსოვილ დროშას—კონგრესის საჩუქრად.

საბჭოთა ფედერაციაში

თვითმფრინავები მოსავლის მავნებლების წინააღმდეგ.

მიწად მოქმედების კომისარიატის დაცვის განყოფილებაში მოხდა „დობროლიოტის“ წარმომადგენელთა თათბირი მოსავლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

თათბირმა შესაძლებლად სცნო ამ სეზონში დაკმაყოფილდნენ მუშაობით მოსკოვის რაიონებში.

ბრძოლა სპეკულიანტების წინააღმდეგ.

გვალვიან რაიონების ადგილობრივ ორგანიზაციებში დაგზავნილ იქნა ხორბლეული მოსავლიან ადგილებიდან. ფასები პურზე საგრძნობლად დაეცა.

გადასახადი არა მშრომელ ელემენტებზე.

არა მშრომელ ელემენტებისათვის წესდება საბინაო გადასახადის გადიდება 10-დან 75°/₀-დი.

არა მშრომელ ელემენტს, რომელიც სარგებლობს აგარაკით, გადახდება ერთ-დროული ჯარიმა.

საბჭოთა-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება

როსტას კორესპონდენტთან საუბარში სერდარ სეპახმა განაცხადა სპარსეთის პრემიერმა, რომ საბჭოთა—სპარსეთის ხელშეკრულება დიდი ნაბიჯია სპარსეთსა და სსრკ-ს შორის კეთილ მეზობლურ განწყობის საქმეში.

გერმანია

გერმანიის ელჩი ერიოსთან.

გერმანიის ელჩმა ფონგეშმა დიდხანს ითათბირა ერიოსთან გერმანიის დამოკიდებულების შესახებ ექსპერტთა გეგმის საკითხში.

გიტლერმა თავიდან მოიხსნა ლიდერის უფლება.

მიუნხენიდან იუწყებიან, გიტლერმა, რომელიც ამ ჟამად ბავარიის ერთ-ერთ ციხეში ზის თავიდან მოიხსნა ბავარიის ნაციონალურ პარტიის ლიდერის სრულუფლებიანობა.

გიტლერის მოადგილედ ასახელებენ დეპუტატ შტროსსეს.

გაფიცვები ჰამბურგში.

ჰამბურგში გაფიცვები გამოაცხადა გემის მშენებელმა მუშებმა. მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

სასამართლო დევნის ფეხნერს.

ბავარიის ლანდტაგმა კვლავ დაიწყო სასამართლო დევნა ფეხნერის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედება სახელმწიფოს ღალატში.

საქსონიის ყოფილ პრემიერის საქმის გარშემო.

იმპერიის სასამართლომ ლეიპციგში უარყო შუამდგომლობა საქსონიის ყოფილ პრემიერის საქმის შესახებ.

ინგლისი.

ცეცხლის მქრობის როლში.

როგორც მაკდონალდმა განაცხადა გუშინ თემთა პალატაში, მისი პარიზში გამგზავრების მთავარი მიზანია მოსპოს ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას და გააკეთოს ყველაფერი შეთანხმების მისაღწევად.

მაკდონალდის და ერიოს თათბირი.

როგორც გაზეთები იუწყებიან, 8 ივლისს მაკდონალდსა და ერიოს უნდა ეთათბირათ კერძოდ, ხოლო შემდეგ თათბირზე მათ დაესწრებიან ლონდონისა და პარიზის ელჩები.

ვინ არის მოწვეული.

თემთა პალატის პრემიერის განცხადების თანახმად, ლონდონის კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია, სამხრეთ-სლავია, საბერძნეთი, პორტუგალია და რუმინეთი.

ამერიკის წარმომადგენელი დაესწრება, როგორც მეთვალყურე. გერმანია მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა კონფერენციაზე გამომუშავებულ იქნება საერთო სქემა სარეპარაციო საკითხის შესახებ. კონფერენცია გაგრძელდება სულ 8—10 დღე, ხოლო ამას მოყვება კიდევ შემდეგი კონფერენცია.

მუშათა გაფიცვები.

5 ივლისს დაიწყო მშენებელ მუშათა გაფიცვები.

კავშირმა დაადგინა მისცეს მუშაობის გაგრძელების ნება მუშებს იმ დაწესებულებებში, სადაც უკვე მიღწეულია შეთანხმება მესაკუთრეთა და მუშებს შორის. შეთანხმება მიღწეულია გულეში, გლაზგოში, კარდიფეში, ბირმინგამში, პლიმუტში, ედინბურგში და მანჩესტერში.

რადიო ყოველ მხრიდან

მექსიკაში მოხდა პრეზიდენტის არჩევნები, თითეული კანდიდატი—კალლესი და ფლორესი სთვლის თავის თავს გამარჯვებულად.

აჯანყება ბრაზილიის არმიაში.

„იუნაიტედ პრეს“-ის ცნობით აჯანყდა არმიის ნაწილი, რომელიც დაბანაკებული იყო სან-პაოლოსა და ბრაზილიაში. ჯარმა დაიკავა ყველა საზოგადო შენობები და დააპატიმრა ოფიცრები. უკანასკნელი ცნობების თანახმად აჯანყება ჩააქრეს.

ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

6 ივლისს ბერლინში მოხდა შეტაკება რეაქციონერებსა და კომუნისტებს შორის.

დაიჭრა რამოდენიმე რეაქციონერი.

სამხედრო აჯანყება.

როდე-ჟანეიროში (ბრაზილია) იფეთქა სამხედრო აჯანყებამ; ჯარებმა გადააყენეს ოფიცრები და გააუქმეს ტელეგრაფი და რკ. გზა.

მე-77-ე კენჭის ყრამ ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა.

ამერიკის დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე მომხდარმა მე-77-ე კენჭის ყრამ კიდევ ვერ გადასჭრა საკითხი პრეზიდენტის კანდიდატის შესახებ.

ოსმალეთი.

დაითხოვეს გაფიცული ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები და მათ ადგილას მოიყვანეს ახლები.

გაფიცვის მოთავეები მიცემული არიან პასუხის გებაში, ვინაიდან სახელმწიფო მოსამსახურეებს არ აქვთ უფლება გაფიცვების გამოცხადებისა.

მაკდონალდი იჩქარის პარიზში.

პარიზის გაზეთების ცნობით, მაკდონალდმა აცნობა ერიოს, რომ ორშაბათს ის მივა პარიზში კრიტიკული საკითხების განსახილველად,

ფაშისტური დემონსტრაცია.

ქალაქ პალერმოში ფაშისტებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. გაზეთი „ილმონდო“ ამის შესახებ სწერს: „ვისაც ახსოვს როგორი ზეიმით მიიღეს მუსოლინი პალერმოში, მას გაუკვირდება ის ცივი შეხვედრა ფაშისტების მიმართ“.

ფაშისტური პროცესია სამარისებური სიჩუმით იქნა ჩატარებული ხალხში. მოაჯირებზე არც ერთი „ფლაგი“ არ ყოფილა. ყველა ფანჯრები დაკეტილი იყო.

რომიდან მიღებულ ცნობით, ალბანიას მოელის დიდი აჯანყება, რომლის მიზეზი არის გლეხთა უკმაყოფილება მთავრობის მიერ „გამოცემულ მიწის რეფორმით.

კათოლიკები ოსმალეთში.

პაპის ლეგატი ფილიპი დაბრუნდა ოსმალეთიდან რომში, რათა პაპს გაუკეთოს მოხსენება ოსმალეთის კათოლიკების შესახებ.

ესპანელები მაროკოში.

მადრიდიდან მიღებულ ცნობით ესპანეთის ჯარებმა ხიშტით შეტევით განდევნეს მაროკოელები მათ მიერ დაჭერილ პოზიციებიდან.

მაკდონალდი პარიზში.

პარიზის ქუჩებში ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა მაკდონალდსა და ერიოს. ხალხი გაიძახოდა: „გაუმარჯოს მშვიდობიანობას“.

მაკდონალდმა ითათბირა ერიოსთან ჩეკერსში წამოჭრილ საკითხების გარშემო.

ტოლერის განთავისუფლება.

გაათავისუფლეს პოეტი—კომუნისტი, ერნესტ ტოლლერი, რომელიც დაპატიმრებული იყო 5 წლით ტოლერი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნაში. ტოლერმა დაასრულა ციხეში ხუთი წელი.

ლონდონის კონფერენცია.

ამას წინეთ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობის მეთაურებს ერიოს და მაკდონალდს ბჭობა ქონდათ გერმანიის საკითხის ირგვლივ და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცნობაზე.

ამ ბურჟუაზიულ მინისტრების ბჭობას მოყვა სურვილი მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევისა ლონდონში.

მთავარი საკითხი, რომელიც ესოდენ აწუხებს ამ ვაჟ ბატონებს, არის გერმანიის საკითხი.

გერმანია კარგა ხანია გემრიელ ლუკმად გახდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით კი ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

საფრანგეთმა კიდეც დაიკავა გერმანიის ერთი უმდიდრესი კუთხეთაგანი. მაგრამ მაგარი ის არის, რომ მან ვერ შესძლო ამ გემრიელ ლუკმის გადაყლაპვა.

ბურჟუაზიულ წარმომადგენელთა ინტერესები სხვა და სხვაა; იგი ყოველთვის ეწინააღმდეგება ერთი მეორეს; ეს წინააღმდეგობა არის სწორეთ ხელის შემშლელი მათი შავი განზრახვებისა.

თუ გერმანია ამდენხანს გადაურჩა საფრანგეთის მიერ ახალშენად გადაქცევას ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მით, რომ ორი მთავარი ონოვარი: ინგლისი და ამერიკა ყურებ დაცქვეტილი დგანან და საფრანგეთს ხელს უშლიან სურვილების შესრულებაში.

ამიტომაც შეთანხმდენ ერიო და მაკდონალდი საკავშირო კონფერენციის მოწვევაზე.

ამ კონფერენციაზე მათ სურთ გამოიმუშაონ ისეთი გეგმა, რომლის თანახმად გერმანიის ყაჩაღობა-ტაციობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა და წილიც ნადავლისა ყველას ხვდება.

მათ უკვე მიმართეს სხვა და სხვა სახელმწიფოებს ამ კონფერენციის შესახებ და სურვილის დასტურიც მიიღეს.

ამერიკა თანახმაა საფრანგეთის პოლიტიკის, იგი მხარს უჭერს გერმანიის ყაჩაღურად დაქუცმაცებას.

მხოლოდ საქმე ის არის, რომ საფრანგეთსა და ინგლის შორის წყალმა იჩინა თავი. ამ წყლის შედეგია მაკდონალდის გაჩქარება პარიზისაკენ, სადაც მას სურვილი აქვს მშვიდობიანობა მოაწესრიგოს ერიოსთან.

მაგრამ შესძლებენ თუ არა ეს ორი ბურჟუაზიული მინისტრი შეთანხმებას. ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

ჩვენ მხოლოდ აშკარად უნდა ვიცოდეთ ის, რომ ამავე კონფერენციის მიზანია „მთლიანი ფრონტის“ შექმნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

რა ფორმებში ჩამოყალიბდება ეს „მთლიანი ფრონტი“—ამის თქმა ძნელია.

წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ ომს ჩვენ ისინი ვერ გამოგვიცხადებენ.

უფრო ჩქარა მათი „მთლიანი ფრონტი“ ერთნაირ დაბრკოლებას შეიტანს ჩვენს სამეურნეო აღორძინებაში; იგი ხელს შეუშლის იმ ხელშეკრულებების დადებას, რომლის შესახებაც დღეს მოლაპარაკება სწარმოებს ინგლისის მთავრობასთან.

ასეთი შავი განზრახვანი აქვს კონფერენციას.

თუ რა შედეგს მიაღწევს ის, და რა ფორმებში ჩამოყალიბდება მათი ზრახვანი, ამას სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს.

პიერ.

ჩვენს წითელ ჯარში

კულტურული მუშაობა ბანაკში.

მოვიდა თუ არა № სოფელში ჩვენი ასეული, ბანაკის მოწყობის შემდეგ, მყისვე შეუდგა, როგორც პოლიტიკურ ისე კულტურულ მუშაობის წარმოებას.

მოეწყო რამოდენიმეჯერ კრებები, რომელსაც უმთავრესად მიზნად ჰქონდა ადგილობრივი ქარხნის მუშებისა და გლეხების დაახლოება.

კრებებმა საუცხოვოდ მიაღწიეს ამ მიზანს. ჩვენსა და ადგილობრივ გლეხებს შორის გაიბა მტკიცე კულტურული კავშირი.

ისინი მუდამ ჩვენთან არიან, ჩვენს მეცადინეობას უსმენენ და თვითონაც მონაწილეობას ღებულობენ შეკითხვებით და ხშირად კამათშიაც.

ჩვენი საკუთარი ძალებით იმართება წარმოდგენები. გლეხები აქაც დიდ ინტერესს იჩენენ და მრავლად ესწრებიან ჩვენს საღამოებს.

ამ რამოდენიმე დღის წინად გამოვიდა ჩვენი კედლის გაზეთი „დროშა"-ს №8. ნომერი მიძღვნილი აქვს ახალწვეულ წითელ არმიელებს. გაზეთი დიდ ქაღალდზე დიდი ასოებით არის დაწერილი.

გაკრულია ლენინის კუთხეებში ბანაკის წინ, რომელსაც ყველა სწვდება და კითხულობს.

იქვე ძირში ტარდება პოლიტ. საათებიც, რომელსაც ხშირად ესწრებიან ყანაში მიმავალი გლეხები. მათზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ პოლიტ საათები, რომ ისინი ხშირად მთელ საათებს აცდენენ და სიამოვნებით უსმენენ ჩვენს საუბარს.

საერთოდ გლეხებს მეტად აინტერესებს საერთაშორისო მდგომარეობა.

სვირელი.

გლეხებთან დაახლოება.

მესანგრეთა ასეულმა ბანაკში ჩამოსვლის თანავე მჭიდრო კავშირი დაიჭირა ადგილობრივ გლეხობასთან. აქ ძლიერ ჩამორჩენილია გლეხობა.

ადვილად წარმოსადგენია, თუ ჩვენი ასეულის ამოქმედება კულტურული მუშაობის ფრონტზე, რა დიდ გავლენას და შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე.

ჩვენი ჩასვლით გამხიარულდა ახლო-მახლო სოფლები.

ერთი თვე სრულდება, რაც ჩვენი ასეული იმყოფება აქ და ამ ხნის განმავლობაში მესამედ დაიდგა წარმოდგენა, რომლებსაც აუარება გლეხები ესწრებიან თავისი ცოლშვილით.

ჩვენს წრამოდგენებს ხელმძღვანელობს ჩვენივე წითელ არმიელი ნაძალადევის მუშათა თეატრის მსახიობი ამხ. ლითანიშვილი.

5 ივლისს ერთ-ერთ მახლობელ სოფელში ლითანიშვილისვე ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა. ხალხი მრავლად დაესწრო. პიესა საუცხოვოდ ჩატარდა და საზოგადოება დიდათ ასიამოვნა.

წარმოდგენის შემდეგ ჩვენმა წითელ არმიელებმა გამართეს ცეკვათამაში. უკრავდა სამხედრო ორკესტრი. გლეხებიც ღებულობდენ მონაწილეობას, რომლებიც საღამოს დასრულების შემდეგ დიდი მადლობით ისტუმრებენ მესანგრეებს.

ვ. ნუცუბიძე.

მეტი ასეთი უფროსები.

ცხენოსან ლეგიონის 1-ლ ესკადრონში ორი სამაგალითო უფროსი გვყავს.

ესენი არიან ამხ. ოთარიშვილი და იოასვა.

პირდაპირ იშვიათია მათი დამოკიდებულება წითელ არმიელებთან.

ისინი ისევე ჩამკლავებული მუშაობენ, როგორც თვით წითელ არმიელები.

მათ არ სჩვევიათ უფროსების ჩვეულებრივი სენი.

გათენდება თუ არა ამხ. ოთარიშვილს სხვა წითელ ესკადრონელებთან ერთად მიყავს თავისი ცხენი დასაბანად.

ის ჩვენთან ერთად სჭამს, ყოველ წუთს ჩვენთან არის და გვესაუბრება.

ასევე ამხ. იოასვაც.

ჩვენ არ დავივიწყებთ ამხ. ასეთ დამოკიდებულებას ჩვენდამი.

დადგება დრო, წავალთ უვადო შვებულებაში, დავსცილდებით მათ მაგრამ ყოველთვის ტკბილად და კარგად მოგვაგონდება ხსენებული უფროსები და მათთან გატარებული ცხოვრება.

რაც შეიძლება მეტი ჩვენს რიგებში ასეთი უფროსები.

კლდის ნაგლეჯიძე.

დროს უბრალოდ არ ვკარგავთ.

საკავშირო გუნდი სასიამოვნო სანახავია. აქ წითელ მოლაშქრეთა მთელი გულის ყური კულტურულ მუშაობისაკენ არის მიქცეული. გუნდი სხვა მხრივაც ძლიერ საინტერესოა. ჩვენთან სისუფთავე ზედმიწევნითაა დაცული.

წითელი კუთხე განუწყვეტლივ მუშაობს, პოლიტიკური მეცადინეობაც სისტემატიურათ მიმდინარეობს. სამხედრო მწყობრული მეცადინეობის შემდეგ წითელ არმიელები თავს იყრიან წითელ კუთხეში, სადაც იწყება გაზეთების კითხვა და საუბარი.

წითელ არმიელები დიდათ დაინტერესებული არიან საერთაშორისო მდგომარეობის გაგებით და პოლიტიკური გათვითცნობიერებით.

ჩვენთან ერთი წუთიც არ იკარგება ტყვილა უბრალოთ, რომ არ სწარმოებდეს რაიმე საკითხზედ საუბარი, რომელსაც აწარმოებს თვით ჩვენი უფშემადგენლობა და განსაკუთრებით გუნდის უფროსი ამხ. ადამია. საუბარი მრავალ საკითხებზე სწარმოებს და დაუწყებს წითელ მოლაშქრეებს საუბარს წითელი ყაზარმის ცხოვრებაზედ და ახსნა განმარტებას აძლევს, თუ რას წარმოადგენდა ნიკოლოზის რეჟიმის შეიარაღებული ჯარის კაცები და ვისი დამცველი იარაღი იყო ის, ამათში განსხვავება, თუ ვის ინტერესებს და ვისი დამცველია წითელი არმიელი. სხვათა შორის ხშირად გვესაუბრება ამხ. ადამია ქვეყნიერების წარმოშვება და მის განვითარებაზედ, ასტრონომიაზედ და სხვა. წითელი არმიელებიც დიდი მონდომებით ეწერებიან სხვა და სხვა წრეებში.

განსაკუთრებით მეტად ინტერესებთ ლიტ-წრე.

ა. მუქერია.

სამხედრო მომზადების პუნქტების ცხოვრებიდან.

სენაკის მაზრის სამხედრო მომზადების პუნქტებზე ასეულობით ახალგაზრდები იწვრთნებიან სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებაში.

პუნქტები არსებობენ: აბაშაში, ბანძა—მარტვილში, ქალაქ სენაკში, ქ. ფოთში, ზუგდიდის მაზრაში, ქ. ზუგდიდში და დაბა ხობში.

ზემო მოხსენებულ პუნქტებში ირიცხება სულ 900 კაცი. პუნქტები არსებობენ 1921 წლიდან. ხსენებულ პუნქტებს დღემდე რამოდენიმე ასეული ახალგაზრდობა გამოუზრდია და გაუგზავნია წითელ ყაზარმებში, რომლებთანაც დიდი ენერგიის დახარჯვა აღარ ყოფილა საჭირო. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, პუნქტები ღვთის ანაბარად არიან მიტოვებული. მათ არ მოეპოებათ არავითარი ფინანსიური და მატერიალური დახმარება.

პუნქტების ხელმძღვანელებს მათხოვრის როლში უხდებათ გამოსვლა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე.

მაგრამ მაინც არაფერი არ გამოდის.

ასე ყოფილა წინათ და ასე არის ეხლაც.

მეორე ლეგიონი, რომელშიაც ჩვენი პუნქტები ირიცხება როგორც მეექვსე ასეული და უნდა მზრუნველობდეს თავის ასეულზე, ვერ ასრულებს ამ დავალებას, რაც იმ გარემოებას უნდა მიეწეროს რომ ლეგიონი ბათუმშია და მისი ასეული სენაკის მაზრაში.

დღეს ყველა პუნქტებზე სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა, როგორც სამხედროში ისე პოლიტიკურში.

ყველა პუნქტებზედ ინსტრუქციების მიხედვით დანიშნულია ოცეულის პოლიტ-ხელები, შექმნილია კომკავშირის ჯგუფები და სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მწვევამდელთა შორის. გამოყოფილია სამხედრო კორესპონდენტები პუნქტების ყოფა ცხოვრების გასაშუქებლად პრესაში.

აუცილებლად საჭიროა რაიმე ზომების მიღება და პუნქტების უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა.

წითელი ახალგაზრდობის სამოსწავლო პუნქტები მოითხოვენ ჯეროვან ყურადღებას, რადგან ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეკიდება სამხედრო სწავლების საქმეს.

პოლიტორგი: ბ—ძე.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„ბუშაგი".

(ცენტრალურ კლუბის ყოველკვირეული გაზეთი).

გამოვიდა ამ დღეებში (ნომერი არ უზის, მაგრამ ეტყობა პირველია).

გაზეთი საშუალო ფორმატისაა და გარკვეულ ხელით არის დაწერილი სუფთა ქაღალდზე.

წერილები შინაარსიანია.

1. „ახალწვეულებს"—ჯანსუხას 2. „წითელ არმიელებო კლუბებისკენ"—ლ—ის, 3. იუმორი დასურათებული (კლუბის სცენის მომუშავენი) და 4. საკლუბო ქრონიკა.

თავში დახატულია დედამიწის ბურთი ზედ წითელ არმიელი დროშით.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წერილები საქმიანი კილოთია დაწერილი და საკითხებსაც კარგად აშუქებენ, მაგრამ მთელი გაზეთი ორ წერილს უჭირავთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა ადგილს, რომელიც კარიკატურას და ქრონიკას აქვს დაკავებული.

ეს კი მიუღებელია კედლის გაზეთისათვის.

წერილები უნდა იყოს მოკლე და გაზეთში ყველა განყოფილებებია საჭირო, როგორიცაა: კლუბის შინაურ საქმეების გაშუქება, წითელი კუთხის, ბიბლიოთეკის წრეების მუ-

წითელ ჯარში.

(სურათები).

მთვარიანი ღამეა.

გაზაფხულის გრილი ნიავი დასთამაშებს, საძილისპირე ნანით და ულიტინებს დღიური შრომით მოქანცულ, დასასვენებლად გამზადებულ სოფელს.

სიჩუმეა.

აქა-იქ თუ დაიყეფებს, სადმე, ფრთხილი ძაღლი შეგვიანებულ მგზავრზე, და მოისმის ურმის ჭრიალი კოფოზე მთვლემარე მეურმის ღიღინით.

მინდვრის მწერებს, საიდანაც ნიავს მოაქვთ სასიამო სურნელოვნება, ჭუკჭუკებენ და, ვენახით, თვალ დანაბული ბულბულის კვნესა ეკლაკნება გულის ნეტარებით შეუსურვაზებულ ხეივანს...

ორღობეში ირხევიან ნერგები და აშარიშურებენ ფოთლებს ნიავის ამბორზე.

ღობეს ლიკლიკით ჩაურბის დაქანებული რუ და ლოთიანად უფაჩუნებს თავში შხეფებს, ნაპირებზე მზის არშიყობით დამთვრალ და ტკბილ სიზმრებში გართულ, მწვანე მოლის ბალიშებზე ყელმოღერებულ ყვავილებს, რომელნიც ზარმაცად იშმუშნავენ ტანს და ახელენ შეშინებულ თვალებს; იყურებიან ანკარა სარკეში ზმორებით, საიდანაც მთვარის ანარეკლი ჰაეროვან კოცნას უგზავნის, და... ისინიც მორცხვი ღიმილით კვლავ ნაბავენ თვალებს ბალახთა ხავერდის სარეცელზე.

რუ კი, მირბის მოუსვენრად, კისკისებს...

—

სძინავს სოფელს.

მხოლოდ არ სძინავს ვანოს, რომელიც აჰყუდებია წყაროს პირას ნერგს და მოუთმენელი თვალები ელვის ისრებით სერავენ მეველე მათეს სახლს, რომლის სარკმელიდანაც ჯერ ისევ მოსჩანს ლამფის მკრთალი შუქი.

გული ელევა ლოდინით.

დღეს აქა აქვს უკანასკნელი პაემანი თებროსთან.

ხვალ დილით, განთიადისას, სადგურზე უნდა იყოს თანამესოფლე ახალგაზრდობასთან ერთად.

ის ხომ ახალწვეულია.

მალე წითელ ყაზარმასაც იხილავს, რომელზედაც ასე ბევრი ქება ესმოდა იქიდან უვადო შვებულებაში დაბრუნებულ უფროს ძმის, ნიკოსაგან.

მოუთმენლობა ეტყობა, როგორც ყოველ შეყვარებულს, რომელსაც წუთები საუკუნეებად ეჩვენება.

— სადაა აქამდის? აი საცაა შუალამე მოაწევს კიდეც, და!..—ფიქრობს ის.

—

— რატომ არ წვები შვილო, არ გეძინება თუ რაა?—უკვე მერამდენჯერმე ეკითხებოდა მათე თებროს, ერთად-ერთ შვილს და უკანასკნელ იმედს.

თედო უღარიბესი გლეხი იყო მთელ ამ სოფელში, უმიწა-წყლო და სხვასთან მუშაობით დატანჯული მიათრევდა დუხჭირ ცხოვრებას.

საყვარელი მეუღლე ადრე გარდაეცვალა, მას მიჰყვა ორი ვაჟის დაკარგვა მსოფლიო ომში და მთელი მზრუნველობა და სიყვარული ერთად ერთ ქალს-ღა მოახმარა.

თუმცა ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი და შეეძლო მეორე ცოლის შერთვა, მაგრამ არა ქნა, მიუხედავად მრავალ მაჭანკლეის ცდისა.

— მე არ მინდა, რომ დედინაცვლის ხელში ჩავაგდო ჩემი საყვარელი თებრო-ო.

ეხლა კი, საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა—კმაყოფილია იგი, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს და ერთად-ერთი საფიქრებელი მისი არის თებროს დაბინავება, თებროს ბედნიერება, შესაფერი საქმროს შოვნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მას მისცა კაი სამი დღიური ნაფუძარი, ერთი პატარა, მაგრამ კარგი ვენახი, რომელიც მის ნაბატონარს ჩამოართვეს, და...

განა არა ჰყავს მხედველობაში სასიძოდ ამავე სოფლელი, კაი მშრომელი ვაჟკაცი და კაი ოჯახის შვილი—გოგლა,—რომელმაც არა ერთხელ გამოუგზავნა კაცები, მაგრამ... მას ეძნელება სახლიდან მოწყვეტა საყვარელ შვილის, მას უნდა, რომ... მაგრამ ყველა ამას ვერ უბედავს შვილს, მას უნდა რომ შვილი იმას მისთხოვდეს, ვისაც თვითონ აირჩევს, მას არ უნდა შვილის გრძნობებზე იმოქმედოს მამის უფლებით და სიყვარულით, მას ესმის თუ რა არის თავისუფლება სიყვარულში, მიუხედავად იმისა, რომ მას არსად მიუღია სწავლა, მას მხოლოდ მორჩილება და მონობა ენახა, რომელიც თვალწინ უქროდა მოგონებათა კაბადონზე.

თვითონაც ხომ თავისუფლად, სხვის მიერ ძალდაუტანებლად შეირთო ცოლი!

ის წევს ლოგინში და, მიუხედავად დაღლილობისა ძილი არ ეკარება მის თვალებს.

თებრო მორცხვია, გულჩათხრობილი, მაგრამ ის ატყობს მას, რომ მისი გული თავისუფალი არ უნდა იყოს, მას ამაზე ბევრს ეუბნებოდენ ჭორიკანა მეზობლები.

— გეყოფა მუშაობა, დაიძინე შე კუდრაჭავ.—კვლავ განუმეორა, ხუმრობით, თებროს.

ს. ე.

(გაგრძელება იქნება).

შობა, პოეზია და პროზაც.

ცენტრალურ კლუბის გაზეთი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს დანარჩენ ნაწილებისათვის.

იმედია სარედაქციო კოლეგია შემდეგისათვის ყურადღებას მიაქცევს ამას.

სანი.

რაზედ გვწერენ

რად არ აქცევენ ყურადღებას?

პირველი ლეგიონის სამზარეულოში სამი დღეა რაც სადილები კარგად აღარ მზადდება. სადილებისათვის თავზე საყრელადაა ყოველგვარი მასალა, მაგრამ სადილს არ ხმარდება.

ლობიო მეტად უვარგისი, მოხრაკული და გაფუჭებული გვეძლევა. წითელ არმიელების უმეტესობა ახლოს ვერ იკარებს მას.

მორიგეები და რკის წევრები კი ხმასაც არ იღებენ ამაზე. რაშია საქმე, სანამდე უნდა ვიყვეთ ასეთ მდგომარეობაში?

აღარც ჩაის გვიდუღებენ.

სადილის გაფუჭებაც აღარ იკმარეს და ეხლა ჩაის ადუღებასაც მიანებეს თავი, დილას მეცადინეობიდან დაბრუნებულ არმიელებს არ ხვდებათ ადუღებული წყალი.

შეუდგებიან თვითონ პატარა ქვაბებით წყლის მოდუღებას, მაგრამ ამავე დროს იწყება პოლიტ-საათი, ყველამ იქ უნდა მივაშუროთ, წყლის ადუღებას ველარ ვასწრებთ და ვრჩებით მშიერი.

მოეღება ბოლო თუ არა ამ დაუდევრობას?

არც სისუფთავეა დაცული.

ლეგიონში მეტის მეტი უსუფთაობაა. სრულიად ყურადღება არ ექცევა ამ მოვლენას

ან და ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება, როდესაც თვით ქსენონიც ნაგავითა და ჭუჭყით არის ავსილი. მაგალითად თქვენ იქ დაინახავთ აუარება წუმწუმის, პაპიროსის ნამწვავებს, ქაღალდის ნაგლეჯებს და ვინ იცის კიდევ რას. ქსენონის ასაცრელ ოთახში ორი კედრითაა ფანჯრები და კარები მოღებული. აუარება მტვერი შემოაქვს ოთახში ორ ქარს. შესაძლებელია თუ არა აცრის შემდეგ ადვილად მოიწამლონ აქ წითელ არმიელები?

ეს მოვლენაც დიდ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი ექიმებისაგან.

კავშ.

ახალი ამბები.

მიწერილობა წით. არმიელების ოჯახების შესახებ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა მისწერა დუშეთის სამაზრო აღმასკომს, რომ საჩქაროთ მიიღოს ზომები წითელ არმიელების ოჯახების დასახმარებლათ მაზრის ფარგლებში.

— **ჯარიმები ექვსი თვის განმავლობაში.** 1-ლ იანვრიდან 1 ლ ივლისამდე სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ჯარიმის სახით შემოვიდა 12.728 მანეთი.

— **ეკლესია კლუბათ.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა დაკეტოს სურფმინასის ეკლესია და შენობა გადასცეს ავლაბარ-ხარფუხის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფს რაიონული კლუბისთვის.

— **წყლით უზრუნველყოფა.** წყალსადენის დირექტორ დიასამიძის განცხადების თანახმათ ტფილისის არც ერთ უბანს ამიერიდან წყალი არ დააკლდება და ყველა მილებში განუწყვეტლივ იდენს წყალი. დღეღამეში ქალაქს მიაწოდებენ 1600000 ვედრო წყალს.

— **ბოროტმოქმედებათა რაოდენობა.** ივნისის განმავლობაში ტფილისში მოხდა 102 ქურდობა, 24 ჯიბგირობა, 4 მკვლელობა, 2 გაუპატიურება და 1 უბედური შემთხვევა.

— **მილიციის შემადგენლობა ეროვნულათ.** ამ ჟამად ტფილისის მილიციაში ირიცხება 1062 თანამშრომელი. აქედან 765 ქართველია, 202 სომეხი, 67 რუსი, 18 თათარი და 17 სხვა და სხვა ეროვნების.

— **ლტოლვილები ექვსი თვის განმავლობაში.** 1-ლი იანვრიდან 1-ლ ივლისამდე ტფილისში ჩამოსულა 2.572 ლტოლვილი.

— **აეროპლანების შეკეთება.** ა. კ. საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ დაიწყო ორი იუნკერსის სისტემის საფრენი აპარატების შეკეთება. მანქანის ნაწილები მზადდება საქართველოს ქარხნებში.

— **ფრენა მანგლის—ტფილისს შორის.** მანგლის-ტფილისს შორის ფრენის დაწყებას აბრკოლებს მანგლისში აეროდრომის მოუწყობლობა. ამ ჟამად დაჩქარებით სწარმოებს მუშაობა ამ მხრივ და უახლოეს მომავალში დაიწყებენ ფრენას აეროპლანები.

— **რესპუბლიკის საავადმყოფოს შეკეთება.** რესპუბლიკის მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოს შენობის მარჯვენა ნაწილის შეკეთება უკვე დასრულდა.

— **სამკურნალო რაზმების გაგზავნა სოფლათ.** ჯანმრთ. სახ. კომისარიატის მიერ 8 ივლის გაიგზავნა პროვინციაში 4 სამკურნალო რაზმი.

— **გარე უბნების განათება.** ექვსი თვის განმავლობაში განათება გაყვანილ იქნა რკ. გზის ლიანდაგის გადაღმა და დადგმულ იქნა 120 ელექტრო სანათი.

ომი და ქიმია

ბუშტნარებიდან (ბალონებიდან შეტევა).

ყოველივე იარაღის დანიშნულება ბრძოლის ველზე იმაში მდგომარეობს, რომ ის იქმნას ხმარებული საჭირო ადგილზე და თავის დროს, ე. ი. ის უნდა იყოს მოძრავი. მოულოდნელობით იარაღმა განცვიფრებაში უნდა მოიყვანოს მტერი და დასწიოს მისი ფსიქიკა. ასეთივე მოთხოვნილებანი წარეყენება ქიმიურ იარაღსაც.

გერმანელები სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ 1915 წელში; მიზანს კიდევაც მიაღწიეს, მაგრამ ამით ვერ ისარგებლეს, ვინაიდან თვითონ არ იყვნენ დარწმუნებულნი ქიმიური იარაღის ძლევამოსილებაში.

პირველად მათ მოკავშირეებზე ქიმიური შეტევა მოახდინეს ბუშტნარებიდან.

შეკუმშული—სითხედ ქცეული ქლორი მოთავსებული იყო ბუშტნარებში— და თან ბუშტნარში ჩატანილი იყო ოცი ატმოსფერის წნევა. ამ წნევის ძალით—ბუშტნარიდან წამოყვანილი ტვიტის მილით მოდიოდა სითხეზედ ქცეული ქლორი და სივრცეში გამოსვლისთანავე ჰაზად იქცეოდა ვინაიდან ქლორი ნორმალური ტემპერატურის და წნევის დროს არის ჰაზობრივი ნივთიერება.

ჰაზობრივი ქლორი თანამოგზაურ ქარს მიყვებოდა ფრანგების თხრილებისაკენ.

ასეთი გერმანელების მიერ დაკანონებული ქიმიური შეტევის საშვალება მიღებული იყო ყველა მეომარ სახელმწიფოების მიერ და დღესაც ეს საშვალება დარჩენილია ყველა სახელმწიფოების ჯარის ნაწილებში.

მაგრამ ეს საშვალება არ აკმაყოფილებს იარაღის ძირითად მოთხოვნილებას—მოძრაობას. საქმე იმაში არის რომ, თვით ლითონის ბუშტნარი როგორც ასეთი იწონის ერთ ფუთ ნახევარს; თუ მას დაუმატებთ სითხედ ქცეულ ქლორს, რომელსაც თითო ბუშტნარი იტევს ისევ ერთი ფუთი ნახევარს მიგირები სავსე ბუშტნარის წონას. სამ ფუთს—რომლის ტარებაც მისი უხერხული ფორმის გამო (და რანაირი ფორმაც არ უნდა ქონდეს) ერთი კაცისთვის ერთი ვერსის და ზოგჯერაც მეტ მანძილზე შეუძლებელია.

ბუშტნარის სიმძიმეს უნდა დაემატოს რეზინის მილების (შლანგების) და ტყვიის კოლექტორების წონაც, რომელნიც ცალკე ყუთებში არიან მოთავსებული და ბუშტნარზე ნაკლებს არ იწონიან. ყველა ეს რასაკვირველია დიდ ჯაფას თხოულობს გადატანის დროს, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასეთი ბუშტნარების რიცხვი ერთი ვერსის სიგანეზე საჭიროა, ორი ათასამდის—ბევრი მუშაობა წარმოებულა იმ მხრივ რომ ბუშტნარებიდან შეტევა რამე ნაირად მოძრავი გაეხადათ, მაგრამ ცდებმა მიზანს ვერ მიაღწიეს—იყო მაგალითად მოწოდება სხვა და სხვა ლაბარატორიებიდან პატარა—30 გირვანქიანი ბუშტნარებისა, მაგრამ რაც მათ ნაკლები წონა ქონდათ მით მათი რიცხვი მეტი შეიქნა საჭირო. ამ რიგად წარსულ ომებში გამობრძმედილი საშვალება თითქოს პირველ ხარისხოვანობას კარგავს.

ბუშტნარებიდან შეტევის მოსაწყობად 1-ლი ხაზის თხრილები განსაკუთრებულად უნდა იყოს მოწყობილი.

კ. რ—ა.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

მეცნიერება და ტეხნიკა

მზის სითბოებრივი ენერგიის შენელების შესახებ.

მზის სითბოებრივი ენერგიის შენელების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ წარმოვიდგენთ, რომ მზის სითბოსა და ენერგიის გარეშე შეუძლებელია დედამიწაზე სიცოცხლე, მაშინ უფრო ცხადი შეიქმნება ამ საკითხის მნიშვნელობა.

ცნობილ მეცნიერ ბრიუნერის გამოანგარიშების თანახმად, საკმარისია დედამიწის საშვალო ტემპერატურის დაცემა 4° ცელსისა დიდი ხნით, რომ დაიწყოს დიდი ახალი ყინულოვანი პერიოდი, რომელიც ერთ დროს ჰფარავდა ჩრდილოეთ და შუა ევროპას.

უბრალო გამოანგარიშებითაც ცხადი ხდება, რომ მზის ტემპერატურა, რომელიც უდრის 6000 გრადუსს ცელსიით მუდმივი უნდა იქნეს 100 გრადუსის საზღვრებში, თორემ დედამიწის ტემპერატურა დაეცემა 4 გრადუსზე ქვევით.

დამოკიდებული მზის ტემპერატურის მუდმივობა.

მზის ტემპერატურის მუდმივობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის შინაგან სტრუქტურაზე. წინათ გავრცელებული იყო ისეთი შეხედულება, თითქოს მზე ტემპერატურის სიმუდმივეს ინარჩუნებდა შინაგანი შეკუმშვითო.

ამ ჟამად ეს შეხედულება საბოლოოდ იქნა უარყოფილი ინგლისელი ასტროფიზიკების მიერ.

ისინი ამტკიცებენ, რომ მზე სხივების გამოშვების დროს თანდათან ჰკარგავს თვის მოცულობაში საკუთარ მასას, რომელიც თავის მხრივ გადადის ენერგიაში და იძლევა სითბოს.

ცნობილი დჟენსის გამოანგარიშებით, მზის მასის შემცირება ერთი პროცენტით ეყოფოდა მზეს ეხლანდელი სახით სხივების გამოშვებისა და სითბოს გავრცელებისათვის 150 მილიონი წლის განმავლობაში.

რამდენი წლის იქნება მზე.

ზემო მოყვანილი ცნობები აშკარად ყოფენ იმ გარემოებას, რომ მზის არსებობა განიზომება ასეული მილიონებისა და მილიარდი წლებით.

ამნაირად სრულიად მხედველობაში არ არის მისაღები ის აზრი თითქოს შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მზის რადიაცია (მოცულობის შემცირება) იმ ზომამდე მივა, რომ დედამიწაზე შეუძლებელი შეიქნება სიცოცხლეო.

თუმცა რჩება რა მუდმივი საშვალოდ, მაინც მზის რადიაციამ შეიძლება განიცადოს პერიოდიულად ცვალებადობა.

მზე ყოველთვის ერთნაირი რაოდენობით არ უშვებს სითბოს.

გამოირკვა, რომ მზე ყოველთვის ერთანაირად არ უშვებს სითბოს. მას აქვს თერთმეტი წლის პერიოდი.

თითეული თერთმეტი წლის თავზე, მზეზე ჩნდება აუარება შავი წერტილები. მზის შინაგანი მოქმედება ამ დროს ძლიერდება და დედამიწაზედაც ხდება საგრძნობი ცვლილებები.

გამოირკვა, რომ იმ დროს როდესაც მზეზე ჩნდება ბევრი შავ წერტილები—მაშინ მზე უფრო ბევრ სითბოს უშვებს, ხოლო წინაღმდეგ შემთხვევაში კი ნაკლებს. მზეზე შავი წერტილების სიმრავლე ან როგორც უწოდებენ მაქსიმუმის პერიოდი იყო 1917 წელს. ეხლა კი ვიმყოფებით მინიმუმის პერიოდში.

შეიხ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

„წითელი არმიელი“-ს გასული თვის უკანასკნელი რიცხვების ერთ-ერთ ნომერში „დაუდევრობის მტერის“ მიერ მოთავსებულ წერილის გამო, 1-ლი ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსის ხუციშვილის წინაალმდეგ, ვიწვევ მას ამხანაგურ სამედიატორო სასამართლოში.

თუ გამოირკვა, რომ სამნეო ნაწილის დაუდევრობის გამო მოხდა ჯამაგირების დაგვიანება მე ვიხდი ერთი თვის ჯამაგირს, თუ წინაალმდეგი აღმოჩნდა და „დაუდევრობის მტერის“ წერილი თავიდან ბოლომდის სიყალბეს წარმოადგენს და უბრალოდ ედება ლობე ყორეს, გზ აბნევია და სიმართლე ვერ გამოურკვევია, მაშინ მან გადაიხადოს ნახევარი თვის ჯამაგირი ჩვენი კლუბი სასარგებლოდ.

მოსამართლეებად ვთხოვ ინებო და დაასახელოს ვინც ნებავს.

ჩემის მხრივ ვირჩევ მათ ვისა ის დაასახელებს.

ვიძლევი სამი დღის ვადას.

დივ. 1-ლი ლეგ. სამნ. ნაწ. უფ.

ვ. ხუციშვილი.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ი. შენიგარს. გვაცნობეთ თქვენი გვარი და სახელი, წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ამხ. სანი იმნაიშვილს. თქვენი წერილის მეორე ნახევარი გადაეცა დივიზიის უფროს ექიმს, სათანადო ზომების მისაღებად.

ამხ. ციხპირელს. თქვენი ლექსი „ძღვნად სამნეო კანცელიარიას“ არ გავა. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ამხ. მომავალს. თქვენი წერილ „1 ლეგ. პირველ სანიმუშო ასეულში“ არ გავა. ამის შესახ უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. „წკრიალას“. თქვენი პასუხ პასუხი არ წავა, რადგან თქვე მიერ აღძრული საკითხი რედაქციას საკმაოდ გაშუქებულად მიაჩნი რისთვისაც მასზე მიწერ-მოწერა სპობს.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული მე-8-ე სამილიციო უბნის უფროსისაგან ვანო მიხეილის-ვართანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.